F2683/2 №13448

№ 5 ყოველდღიური გაზეთი

# ჩვენი ცხოვრება

წელიწადი 1. პარასკევი 6 ივლისი, 1912

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

? ? ?

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

## „ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. და 50 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან. რედაქტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе.

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

მოსკოვის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებსა და ნაცნობებს, რომ დიდი ხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა იურიდიული ფაკულტეტის მე-IV-ე კურსის სტუდენტი

### ივანე ზურაბის ძე ფანცულაია.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს ექვს საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან (ბაღის ქუჩა) და დაკრძალვენ საფიჩხიის სასაფლაოზე, პარასკევს, ნაშუადღევის 4 საათზე.

ნატალია ზაქარიას ასული, ასული მისი ირინა არჯევანიძისა, აზნაური პავლე ანდრიას ძე არჯევანიძე და გერი მისი პოლიკარპე პავლეს ძე გიორგაძე გაუწყებთ რა გარდაცვალებასა პირველი ძვირფასის ქმრისა, მეორე საყვარლის მამის, მესამე უძვირფასესის სიმამრისა და მეოთხე მამინაცვლისას

### ალმასხან ლომკაცის ძის გებუაძისას,

დაკრძალვა მოხდება ივლისის 7-ს, დღით შაბათს, ნაშუადღევის სამ საათზე. უმორჩილესათ სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობებს მობრძანდეთ მესხეთის ქუჩის იურჩემკოვის გადასახვევში, თავის საკუთარ სახლში. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

**გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა**

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ვოლ-ველ კონკურენციის გარეშეა.

დეპეშის ადრესი: Фабрика КверГелидзе и Рамишвили.

მ—5—1

შუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „ჩვენი გემო“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადუღი წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით მათე გორგილაძე და ამხანაგობა.

მისამართი: სუდები ქუჩა, სახლი № 6. 20—5—1

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გაზეთი

წელიწადი მეორე „თ ე მ ი“ წელიწადი მეორე

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ. რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая 6, редакція газеты „Т Е М И“. რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე

ექიმი ირ. ცეხანოვსკი ღებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე. ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

ექიმი მ. მგალობლიშვილი ილებს ბავშთა, შინაგან და საბებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. სალ. 5—7. გაგარინის ქ. № 5, პოლიცმეისტრის კანცელარიის გვერდზე. 5—თ.

**Курсистка** Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметамъ, (долголѣтняя практика) спеціальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

ზონში

მიიღება ხელის მოწერა სარედაქციო ფასებში გაზეთ

„ჩვენი ცხოვრება-ზე“

ს. ჩირგაძის ტუავეულობის მაღაზიაში, სამკითხველოს გვერდით.

გვყავს გაზეთის საკუთარი დამტარებელი. მსურველთ შეუძლიათ მიიღონ გაზეთი თავიანთ ბინაზე.

## განცხადებანი

### თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ

თბილისში გაზ. „ჩვენ ცხოვრებაზე“ ხელის მოწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: 1) პირველ საპოლიციო უბანში ვერაზე, ბელინის ქუჩა № 13, კვასი „გემოს“ ქარხანა; მოსე ფირცხალაშვილთან. 2) ერევნის მოედანთან, სომხის ბაზრისა და პუშკინის ქ. კუთხე № 1; ვასილ ხუცავას მაღაზიაში. 3) ავლაბარში: მე 7-დე საპოლ. უბ., კახეთის ქ. № 7, ავტომობილის იადგური (თბილ.-სიგნახ.) ავთანდილ გულევთან. 4) ნაძალადევში (ნახალოვკა) მომხმარებელი საზოგადოება „მომავალის“ მაღაზიაში.

## პროგრესისტების პარტია

II.

პირველ წერილში ჩვენ იმ დასკვნას მივადექით, რომ „უპარტიო“ პროგრესისტების ჯგუფი განსაზღვრულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობების გამო და იმ კავშირის ძალით, რომელიც მას უკვე აქვს გაბმული საზოგადოების ზოგიერთ ელემენტებთან, უნდა გახდეს კაპიტალისტური ბურჟუაზიის პარტიათ, რომელიც გამომხატველი იქნება ძლიერ ზომიერი ოპოზიციისა.

როგორია საარჩევნო პლატფორმა პროგრესისტებისა?

აი როგორ ბუნდოვან ფორმაში გამოსთქვა ის ხსენებული ჯგუფის ლიდერმა ეფრემოვმა კონფერენციაზე.

„როგორც საკანონმდებლო მოღვაწეობის უმახლობელეს მიზანზე, როგორც რეფორმებზე, რომლებიც უნდა შეიქნენ განახლებული წყობილების საძირკვლათ, ჩვენ ვუთითებთ სახელ. დუმის უფლებების და მნიშვნელობის განმტკიცებაზე, სახელმწიფოში კანონიერებისა და უფლებრივი ნორმების დაცვაზე, ადგილობრივი თვითმართველობის განვითარებაზე, განათლების გავრცელებაზე და სხვ.“

ეს, რასაკვირველია, საერთო ფრაზებია და მარტო ამით პროგრესისტების დახასიათება შეუძლებელია. და საერთო ფრაზებთან ერთად ისინიც იძლევიან ზოგიერთ კონკრეტულ ლოზუნგებს. ასეთია, მაგალითად, მათ მიერ გადაჭრით წამოყენებული ლოზუნგი—თანამედროვე ნაციონალიზმის წინაალმდეგ ბრძოლა. მ. კოვალევსკიმ ერთ კრებაზე ასეთი ტეზისი წამოაყენა: „ჩვენ გვინდა ისეთი შინაური და გარეშე პოლიტიკა, რომელიც თავისუფალი იქნება ნაციონალური მიდგომისაგან, ეროვნული და რელიგიოზური სიძულვილისაგან.“

ამიტომო, დაასკვნის მეორე პროგრესისტი, ჩვენ მიერ უკვე ნახსენები ეფრემოვი, „ჩვენი ორგანიზაციის მიზანია—პროგრესისტების შეერთება, რომ დავამარცხოთ მემარჯვენეები და ნაციონალისტები და დავსძრათ რუსეთი გაყინული წერტილიდან, რომელიც ძველ უფლებებისა და ძალმომრეობის ატმოსფერაში ერთ ადგილას ტრიალებს“.

ელემენტარული კონსტიტუციონური ნორმების დაცვა და განხორციელება, თანამედროვე ნაციონალიზმის უარყოფა და მისი სულის ჩამდგმელების დამარცხება—აი პროგრესისტების მიზანი! ეს მიზანი მიმართულია 3 ივნისის რეჟიმის წინაალმდეგ, იგი მისი უარის ყოფაა, მისი ძირის გამოთხრაა.

თუ ეს ზომიერი მოთხოვნილება გადაიქცა კაპიტალის წარმომადგენელთა მოთხოვნილებათ, თუ მის გარშემო არჩევნების დროს მართლა შემოკრბენ ვაჭარმრეწველთა საგრძნობი ძალები,—ეს იქნება მაშინ პირველი, პოლიტიკურათ შეკავშირებული, გამოსვლა ბურჟუაზიისა, მარა ისეთი გამოსვლა, რომელიც მას პირისპირ შეახვედრებს და დაუპირდაპირებს 3 ივნისის გმირებს. მაშინ, ვამბობთ ჩვენ, კაპიტალისტური ბურჟუაზია ცოტათ თუ ბევრათ გასაგებ პოლიტიკურ ენაზე დაიწყებს ლაპარაკს და საზოგადოებრივ ბრძოლის ასპარეზზე საკუთარ ადგილს დაიჭერს.

ჩვენ, რასაკვირველია, დიდ იმედებს არ ვამყარებთ მის ოპოზიციონერობაზე და მისგან ქვეყნის ხსნას არ გამოველით. მარა ზოგიერთ პირობებში შესაძლებელია მან სერიოზული ზარალი მიაყენოს ქვეყნის ეხლანდელ ბატონ-პატრონებს. ეს დამოკიდებულია ერთი მხრით უკანასკნელთა მოქმედებაზე და მეორე მხრით იმაზე, თუ როგორი ტემპით იწარმოებს დემოკრატიული კლასების მოძრაობა.

## შენიშვნები.

### გაკვრით.

I

დიდიხანია გაზეთი „კოლხიდა“ ჩვენს წინაალმდეგ კამათს ეწევა. კამათი დიახაც, რომ საჭიროა. კიდევ მეტი—აუცილებელიც. კამათი—აზრთა შეჯახებ-შემოჯახება, გაცვლა-გაზიარებაა. კამათიდან იშვის ჭეშმარიტება. ჭეშმარიტების კვლევა-ძიება კი—ერთად-ერთი დანიშნულებაა პრესის.

მარა კამათიც არის და კამათიც. იმაზე უფრო საზიზღარი არა არის რა, როცა კამათი უიდეო, უპრინციპო მოწინააღმდეგესთან გიხდება. მარა იდეას, პრინციპს თქვენი ჭირი წაუღია. უბრალო რიგიანობა ხომ აუცილებელი ატრიბუტია ყოველგვარი კამათისა. და თუ თქვენს მოწინააღმდეგეს ესეც აკლია, ერთი გვიბძანეთ—როგორ გინდათ ეკამათოთ მას. კოლხიდელებს კი სწორეთ, პირველ ყოვლისა, ეს უბრალო რიგიანობა აკლიათ. მათი გონებრივი და ზნეობრივი დაკნინება პირდაპირ საზღაპრო შეიქნა. ამ დაკნინებამ კი განსაკუთრებით თავი იჩინა რეაქციის ბატონობის დროს.

ათასჯერ მართალია გორკი, როცა ამბობს: რეაქციის ბატონობის ხანაში ყველაზე წინ გამოხტება, ცხოვრების პირველ რიგში დგება და „კამანდრობას“ იწყებს პატარა კაცუნა. კაცუნას სული მისივე ენის წვერზე ცხოვრობს. ამ ტიპის კაცუნა საზიზღარ შთაბეჭდილებას ახდენს. კაცუნას არაფერი არ ეჯავრება ისე, როგორც იდეა, პრინციპი. ის სრულიად არ არის დაინტერესებული ჭეშმარიტების ძიებით. კაცუნა ისწრაფვის რა თფილი კუთხე გაიჩინოს ფუსფუსებს, ფართი-ფურთობს, ყველას მუჯლუგუნს კრავს, სტყუის, ფლიდობს, თაღლითობს, ფარისევლობს, სტეხს აურზაურს და ამავე დროს გონია, რომ „ქმნის ისტორიას“!

ჩააცვით ეს „კოსტიუმი“ კოლხიდელებს—და ნახეთ, თუ რა კოხტათ მოადგეთ ტანზე.

რომ ჩვენი პატარა კაცუნები ყოველივე ამას ჩუმათ სჩადიოდენ, კიდევ ჰო, შევველძლო გვერდი აგვევლო. მარა ისინი საჯაროთ გამოდიან სწერენ და ლაპარაკობენ, ოღონდ კი სწერონ და ილაპარაკონ.

შექსპირის სასახლის კაცი შეშლილ ოფელიაზე ამბობს:

Въ ея словахъ нѣтъ половины смысла;

Все дико въ нихъ—одни пустые звуки;

და აი სწორეთ ეს „все дико“, „пустые звуки“ ერთად-ერთი შინაარსია „კოლხიდის“ პოლემიკისა. ის ულონოა ობიექტიურათ დააფასოს, რაც იყო და რაც არის. ამიტომ ილანძღება, იწყევლება, იგონებს ათასგვარ ჭორებს და მოწინააღმდეგეს თავზე ახვევს. დაიჭერთ ერთ ტყუილში, მეორეს გამოაცხობს, მეორეში დაიჭერთ [illegible] და ასე მუდამ: დღეს, ხვალ, ზეგ, ამ თვეში, იმ თვეში. დაუწყებ სერიოზულ კამათს, ის მაშინვე ერთხელ გაზეპირებულ მონოლოგში ჩაძვრება, გარეთ აღარ გამოდის და პასუხის მაგიერ ტალახის გუნდას დაგიშენს. დაუმატეთ ამას გაზვიადებული, ავათმყოფური წარმოდგენა თავის თავზე,

ვინ დააჯერებს მაგ. ბ. სილოვანს, ამ „პატრიოტულ ზარაზანს“, რომ თუ მთელი საქართველო არა, ნახევარი მაინც მაზე არ არის დამოკიდებული! ვინ დააჯერებს ულმობელს, შოლტს, რომ წერისათვის, გარდა თითებისა, საჭიროა ჭკუა და რიგიანობა! მას თავი კაროლი გონია, ნამდვილათ კი პაიაცია. ვინ დააჯერებს ტიტე ართმელაძეს, რომ ის ჰარიბალდი არ არის! ვინ დააჯერებს ს. ქვარიანს, რომ ის მომზენი არ არის!?

ვერავინ. და ჩვენი უხერხულობაც სწორეთ ამაშია.

„დედა-ენაში“ შვილი ეკითხება მამას: რატომ არის, რომ ზოგი თავთავი ძირს არის დაშვებული, ზოგი-კი ზევით აშვერილიო? მარცვლით სავსე თავთავი სიმძიმის გამო ძირს იხრება, ხოლო ცარიელი, ფშუტა-კი ზევით არის აშვერილიო—უხსნის მამა.—ახლა-კი მივხვდი, თუ რათ იწევს ცხვირს ზევით ჩვენი სოფლის მწერალიო—წამოიძახებს ბავში. და აი ეს „ზევით ცხვირაშვერილი მწერალი“ მეტუზება მუდამ თვალწინ, როცა შოლტ-ულმობელებს ვხედავ. დადიან „ცხვირაშვერილი“ და წარა-მარა გვტყორცნიან: „ნედაუჩქა“ „მალჩიშკა“ და სხვ. მათ გონიათ, რომ ამ სიტყვებით გვსპობენ. ჩვენ კი ვიცინით. ვიცინით იმიტომ, რომ უკუდო ამპარტავნობა—მედიდურობა მართლაც რომ სასაცილოა.

„ნედაუჩქა“, „მალჩიშკა“—ეს ის პირველი ქვაა, რომელსაც დასტაცებს ხოლმე ხელს ძველი თაობა ახალ თაობასთან ბრძოლაში. ცნობილია, რომ ბელინსკის მოწინააღმდეგენი მუდამ „ნედაუჩქას“ ეძახდენ; ჩერნიშევსკის მუდამ „სემინარისტობას“ წამოაყვედრებდენ; პისარევს ხომ მუდამ „მალჩიშკას“ ეძახდენ. მაგრამ ისტორიამ უკვე დაამტკიცა, რომ მომავალი სწორეთ ამ „ნედაუჩქებს“ და „მალჩიშკების“ იყო. და „ბრძენი მამები“ კი არქივის მტვერს სამლოცველოს განეძენ. ამიტომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონებო, როცა თქვენ ასეთი სიტყვებით ლამობთ გაგვასასაცილოთ, ჩვენ გულიანათ გვეცინება. ჩვენი სიცილი კი კოლხიდელებს რევს და მოთმინებიდან გამოყავს. აბა ეს რა ჩვენი ბრალია. პასუხი ისტორიას მოსთხოვეთ.

მოთმინებიდან გამოდიან მაშინაც, როცა ჩვენ ეჭვი შეგვაქვს მათ მამულიშვილობაში. ვინ არ იცის, რომ დღეს მამულიშვილობა მხოლოდ ფირმაა. მამულიშვილობით დღეს ვაჭრობენ, კარიერას იკეთებენ, სტიპენდიებს იღებენ, თფილ ადგილებს შოულობენ, საზოგადო მოღვაწის „დიპლომს“ იღებენ და სხვ. მამულიშვილობის პატენტით უხვათ სარგებლობს ყველა გაიძვერა პოლიტიკური მაკლერი და ავანტიურისტი, და აი, როცა ასეთ მამულიშვილობას ზიზღით გვერდს ვუვლით, ისინი ყალყზე დგებიან, სამშობლოს მოღალატის სახელით გვნათლავენ დ ამავე დროს სამშობლოსადმი თავის განუსაზღვრელ სიყვარულზე ლაპარაკით ყურებს გვიჭედვენ.

მარა ცნობილია, რომ წარა-მარა სიყვარულზე ლაპარაკი ეს პროფესიონალური დონჟუანების ხელობაა, რომელთათვის სიყვარული მხოლოდ საშვალებაა. ჭეშმარიტი სიყვარული არ ყვირის მუდამ. ტყუილათ კი არ უთქვამს ბრძენს: გამოუთქმელი სიყვარული უფრო ძლიერია, ვინემ წარმოთქმულიო. არ ენდოთ მას, ვინც მუდამ სიყვარულზე ფიცავს, რადგან ფიცი მხოლოთ მტყუანს და დამნაშავეს სჭირია.

და აი როცა მათ ამხელ ამას, ისინი მაშინვე ჰარიბალდის და მაძინს ამოიყენებენ გვერდში. ჩვენ, რასაკვირველია, ესეც გვაცინებს. მათ ბრაზი მოსდით. აბა გვითხარით—სად ჰარიბალდი და სად.... ჩვენი მამულიშვილები?

ჰარიბალდის დროშაზე ცეცხლის ასოებით ეწერა: მუდმივი შეუდრეკელი ბრძოლა თავის სამშობლოს ბედნიერებისათვის, პატივისათვის, დიდებისათვის, თავისუფლებისათვის...

აი სამშობლოს უმაღლესი სიყვარული.

რა აქვს ამ დიდების დროშას საერთო ჩვენი მამულიშვილების ჩვართან?

ხშირათ, როცა ჯერი მამულიშვილობის დაფასება[illegible], ისინი მაშინვე ძველ დავთარს გადმოიღებენ. ეს ვითომ მათი წარსული ნამსახურობის ფორმულიარია, რომლითაც ისინი ფრიად ამაყობენ. მაგრამ, თუ კარგათ გავსინჯავთ ამ დავთარს, დავრწმუნდებით, რომ ბალანსი არც აქ არის სწორი.

წინათ სამშობლოს შიგნიდანაც ემუქრებოდენ დ გარედგანც. ისინი კი ავითარებდენ, და აჯილდოებდენ იმ პატრიოტიზმს, რომელიც მიმართული იყო გარეშეების წინააღმდეგ; და ეს იმიტომ რომ ეს უზრუნველყოფდა მათ პირად ბატონობას. ამ რიგათ ჩვენი მამულიშვილების პატრიოტობას, (თითო ოროლას გამოკლებით) როგორც დღეს, ისე წინათ სარჩულათ ედვა მათი ვიწრო პირადი თუ წოდებრივი ინტერესები. ყოველივე ეს კი ხდებოდა ერის და ეროვნების დაცვის სახელით. ასევე ხთება დღესაც.

ერი, ეროვნული—აი ის ორი სიტყვა, ურომლისოთ ჩვენი მამულიშვილები ენას ჯ(?)რ მოაბრუნებენ და მუდამ ჩაგვჩიჩინებენ, რითაც მაგონებენ ბელინსკის შემდეგ სიტყვებს: ორი და ორი ოთხია. ამას მტკიცება არ უნდა. მარა, როცა წარა-მარა, ყოველგან და ყოველთვის, არის საჭირო თუ არა, მაინც ჩაგჩიჩინებენ გამრავლების ამ ცხრილს, თქვენ მართალი იქნებით, თუ დაიწყებთ წინააღმდეგობის მტკიცებას: ე. ი. რომ ორი და ორი ოთხი კი არა, ხუთიაო. აზრი თქვენი ასეთი მტკიცებისა ერთია: „пошли прочь, дураки“.

და აი, როცა შოლტებ-ულმობლები ყოველ წუთში თავს დაგვჩხავიან „ერი“, „ეროვნულიო“, ერის სიყვარული“ და სხვა ასეთები, მზათ ვართ ბელინსკისთან ერთად გავიმეოროთ: „пошли прочь...“

გალიორკა.

# სახელმწიფო დუმის ამრჩეველთა საყურადღებოთ.

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ქონებია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუნდაც ერთი ოთახი ქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს დუმის არჩევნებში.

ვინც ბინის გადასახადს არ იხდის, ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, ის მოვალეა, რომ დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის „უპრავაში“ (12-ტ **ამ თვემდე ქუთაისში**, 8 **აგვისტომდე თფილისში და სხ.**) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიაში არ შეიტანენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წელიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა—ერთი წელიწადი, მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, მას არ ერთმევა არჩევნების უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არს.

განცხადება ეხლაც შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს (ქუთაისში ეს მოხთება 12 კვირიკობისთვეს შემდეგ, თბილისში კი 8 აგვისტოს), შემდეგ კი დაგვიანებული იქნება. ისინი, ვისაც ჯერ არ შესრულბია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი, და ამის გამო ეხლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცთილობდენ, რომ ეს დრო არ გაუშვან ხელიდან შემდეგ, როცა ერთი წლის ვადა გავა. განცხადება უნდა შეტანილ იქნას ქალაქის თავის სახელზე საქმე დღით, დილის ათ საათიდან. აი განცხადებების ფორმა:

ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამა და ამ ქუჩაზე ბინას, გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო დუმის საარჩევნო სიაში. ბოლოში მიეწერება მთხოვნელის სახელი, გვარი და რიცხვი.

**განცხადებების დროს თან უნდა წადგენილ იქნას მოწმობა. რომ ერთი წლის განმავლობაში ბინა გქვთ დაქირავებული.**

ასეთ მოწმობათ გამოდგება ბინის დაქირავებისას დადებული კანტრაქტები, თუ მისი შესრულების დროს ხელის მოწერა დაამტკიცა ან ნოტარიუსმა და ან ვინმე მართებლობის პირმა.

ვინაიდან ასეთი კანტრაქტები ძვირათ იკვრება და ჩვეულებრივ შინაურულ პირობებით, ან კიდევ უბრალო მოლაპარაკებით ხთება ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას, უნდა წარედგინოს **ან ბინის წიგნი**, თუ ასეთი მოიპოვება, **ან სახლის პატრონის ან მისი მოადგილის მოწმობა**, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ქირაობდა. დასახელებულ დოკუმენტების შემოწმებას შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან შესაფერ მოწმობას. არც ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და არც პოლიციის მერ მიცემულ მოწმობას საგერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

ვინაიდან ყველაფერი ეს კარგა დროს მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ეხლავე შეუდგენ თადარიგს.

როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი განცხადება უნდა რუსულ ენაზე დაიწეროს.

# ახალი ამბები.

✦ **ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობა** უკვე შეუდგა სამზადის მომავალ სეზონისათვის. ის ამ ჟამათ იმის ცდაშია, რომ დასი გამოცდილ და ნიჭიერ მსახიობთაგან შეადგინოს. როგორც ვიცით მას უნდა დასის ხელმძღვანელათ ისევ ბ. ქორიძე მოიწვიოს; გამგეობას განზრახვა აქვს აგრეთვე რეპერტუარი თანამედროვე შინაარსის პიესებით შეავსოს დეკორაციები გააუმჯობესოს და სხვა.

✦ **კავკასიის შესასწავლათ** მიწათ მოქმედების დეპარტამენტმა კავკასიის შესასწავლათ პეტერბურგიდან გამოუგზავნა მთავარი ბოტანიკური ბაღის გამგე ი. ვ. **პალიბინი**. პალიბინს დავალებული აქვს ჩამოიაროს შავი ზღვის გუბერნია, ბათუმის ოლქი და ქუთაისის გუბერნია. ამ დღეებში პალიბინი ქუთაისს ესტუმრება.

✦ **თხოვნები.** ქუთაისის სახალხო შკოლების დირექციაში აუარებელი თხოვნები შედის. თხოულობენ მასწავლებლების ადგილს. თითო თავისუფალ ადგილზე 5-5 თხოვნა მოდის.

✦ თფილიში, სხვათა შორის, საზამთრო სეზონისათვის ქუთაისიდან მიუპატიჟებიათ მსახიობი ბ-ი **დათიკო ჩარიკვიანი**.

✦ **ნიკო ნიკოლაძის განზრახვა.** როგორც ვიცით ფოთის ქალაქის ყოფილ თავს ბ. ნ. ნიკოლაძეს განზრახული ქონდა მოეწყო ქუთაისში ღვინის საწყობი და ყურძნის ყიდვის საქმე. ამ ჟამად ნიკოლაძე საქმის პრაქტიკულათ განხორციელებას შეუდგა.

✦ ბათუმის რუსული გაზეთის „Батумскія Вѣсти-ის“ რედაქტორს ბ-ნ გერმანს განზრახული აქვს გამოსცეს ქუთაისში [illegible] რუსული გაზეთი.

✦ რაჭიდან ქუთაისს დაბრუნდენ მსახიობნი ქ-ნი შოთაძე და ბ-ი ი. ზარდალიშვილი. ამათ სცენის მოყვარეთა დახმარებით დაბა ონში გაუმართავთ ორი წარმოდგენა და ერთი იუმორისტული საღამო. უთამაშნიათ ლეკის ქალი „გულჯავარ“ და „მორევში“. წარმოდგენებსა და საღამოს ონში საკმაოთ დიდი ხალხი დასწრებია.

✦ კომისიებში, რომლებიც პარკის ყიდვა გაყიდვის დროს მუშაობდენ საზოგადო სასწორებზე—ქუთაისში, ხონში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში და სხვაგან თავის მოქმედებას შესწყვეტენ 15 კვირკობისთვეს.

✦ ამას წინათ ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაბრიელ გაბაშვილს, რომელსაც კაცის კვლა ბრალდებოდა, ათი წლის კატორღა მიუსაჯა. 3 ივლისს თფილისის სამოსამართლო პალატამ ქუთაისის საოლქო სასამართლოს დადგენილება გააუქმა და გაბაშვილი გაამართლა. ის ქუთაისის საპყრობილედან 4 ივლისს გაათავისუფლეს.

✦ 8 ივლისს ქუთაისის ციხიდან ხარკოვის საკატორღო ციხეში აგზავნიან პოლიტიკურ ტუსაღს გოგიტიძეს.

✦ **მეექვსე პროგიმნაზიული კლასი.** ამ ჟამათ ხონში ხუთი პროგიმნაზიული კლასია. როგორც იქიდან გვატყობინებენ-ენკენისთვიდან ხონში გაიხსნება მეექვსე პროგიმნაზიული კლასი.

✦ სიმინდის და ქვილის ფასმა ქუთაისის ბაზარზე ამ უკანასკნელ დროს საგრძნობლათ აიწია.

✦ ქუთაისის სასწავლებლებიდან სხვა ქალაქის გიმნაზიებში და სასწავლებლებში გადაიყვანეს: გიმნაზიიდან დირექტორი და ინსპექტორი, [illegible] სასწავლებლიდან გადაიყვანეს დირექტორი ლეონტიევი და ამავე სასწავლებლის ინსპექტორი. დაითხოვეს სამსახურიდან რამდენიმე ქართველი მასწავლებელი ქალი წმ. ნინოს საქალებო გიმნაზიიდან. ამ ჟამად მოელიან ქუთაისში ახალ დირექტორებს, ინსპექტორებსა და მასწავლებლებს გადაყვანილ და დათხოვნილთა ადგილებზე.

✦ **რევიზია.** ქუთაისში მოელიან ფოშტა-ტელეგრაფის დაწესებულებების რევიზორს ბ-ნ ფრანცს.

✦ ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობას წელს ჩვეულებრივ დიდი საქონელი უყიდია. ხონის ბაზარზე პირველათ ამ ამხანაგობას აუწევია პარკის ფასი.

✦ ქუთაისის წითელი ჯვრის საზოგადოება თხოვს ქალაქის გამგეობას, აცნობოს მას—რუსეთში მოუსავლობისაგან დამშეულთა დასახმარებლათ მათგან მიწოდებულ შემოწირულებითი ფურცლებს როდის დააბრუნებენ.

✦ ქალაქის გამგეობას 5 ივლისს ბაზრის ზედამხედველმა 4-ი ოქმი წარუდგინა სხვა და სხვა პირებზე შედგენილი საბაზრო სამოქალაქო სავალდებულო წესების დარღვევისათვის.

✦ **ცნობა.** ქუთაისის გუბერნატორი აცნობებს ხალაქის თავს, რომ ქუთაისის საბჭოს დადგენილება საზოგადო მოღვაწის **იაკობ გოგებაშვილის** სახელის აღნიშვნის შესახებ წარედგინა საგუბერნიო კანცელარიას საქალაქო მართველობის ნაწილისა.

✦ როგორც ბორჯომიდან გვწერენ ჩვენი გაზეთის პირველი ნომერი ბ. რკინის გზის სადგურის უფროსს დაუჭერია. ნეტავი ვინ მისცა ამ ვაჟბატონს ამის უფლება?

**შეცდომის გასწორება:** გუშინდელ ახალ ამბებში შეცდომით სწერია: გარდაიცვალა ქიათურის საქ. სასწ. მასწავლებელი დავით ჭუმბურიძე, უნდა იყოს დავით ბურჭულაძე.

### თფილისი

**ნორმალური დასვენების გარშემო.** გაზეთ „კავკაზის“ ცნობით—თფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას ხელ-ახლად გადასინჯოს მის მიერ სავაჭრო დაწესებულებების, საწყობების და კანტორების წარმომადგენლებთან ერთად შემუშავებული სავალდებულო დასვენების წესდება. უკვე შემუშავებულ სავალდებულო დასვენების წესდებას გუბერნატორი მეტათ შემავიწროებლათ სცნობს.

✦ იმავე გაზეთის ცნობით, თფილისის გუბერნატორს და ქალაქის გამგეობას

# ფელეტონი

## შენ.

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი შუის...
ილია ჭავჭავაძე.

ცამ ჩამოიხსნა მწუხრის პირბადე
და თავხედურათ უფსკრულს ჩასტყორცნა,
ზარათ მოჰგზავნა ცელქი სხივები,
სალამი მზისა, ვნება და კოცნა...
ბუ აღარ კივის... სატრფოსა წყვდიადს
დილის ცელქ სხივმა უკვე გაჰყარა...
ფრთები შეუწყო გრიგალმა მფრინავს,
კლდეს გაედევნა, გადიხარხარა...

——

შენ როს მოიხსნი ჰმუნვის პირბადეს,
როს გადასტყორცნი. ჩემო, უფსკრულსა,
როს მოუგზავნი მაგ უფსკრულ თვალთგან
სიხარულის სხივთ მწუხარე სულსა.
როს გაედევნოს მაგ ტუჩებს ვნება,
ღამის დარაჯის შეწყდეს კივილი,
მჭმუნვარების წუთს როს მომელანდოს
შენი თვალები, შენი ღიმილი?..

იასამანი

ხარკოვი.

## ძე კაცისა.

მოთხრობა.*

გადაიკითხა და ეხლა მიხვდა. ეს წერილი ნიშნავდა, რომ ნინას გიორგი აღარ უყვარს. არც მეტს, არც ნაკლებს. მიხვდა და წამსვე ბაგეზე ღიმილი გაეკრა, რომელიც-გიორგის ასე ეგონა—ამ წამიდან დაწყებული იმას დიდხანს არ მოშორებია არც იმ დღეს, არც მეორე დღეს, არც უფრო გვიან. ნინას ის აღარ უყვარს! იგრძნო ეს და მთელი მისი არსება უცებ შეიპყრო განსაკუთრებულმა, არაჩვეულებრივმა სიმშვიდემ. ამბობენ მიწის ძვრის წინეთ არაჩვეულებრივი დუმილი მეფდება ბუნებაში. ოდნავი ნიავიც კი არ იძრება თურმე, არც ერთი ჩიტის ხმა არ ისმის, ყველაფერი სულ-განაბული თითქმის ელოდება რაღაც საშინელსო... და თვით მზის სხივიც თურმე არა ჩვეულებრივ, საშიშარ შთაბეჭდილებას ახთენს.. ასე ამბობენ სანდო პირები, რომელთაც გამოუცდიათ დიდი მიწის ძვრა. და იგრძნო რა გიორგიმ არა ჩვეულებრივი სიმშვიდე, გაუკვირდა მას ეს გარემოება და გეოლოგიის რომელიღაც წიგნიდან ამოკითხული ზემოხსენებული დაკვირება. მაგრამ რა უნდა მოხთეს ასეთი დიდი გიორგის გულში! ნინას ის აღარ უყვარს—მერე რა? წყნარათ ამოიღო ჯიბიდან სპიჩკა, გაჰკრა მას ღერი, აანთო და ნელა წაუკიდა წერილს ცეცხლი. სანამ სავსებით ის არ ჩაეწვა ხელში, ხელიდან არ გაუშვია. ფერფლი ფრთხილათ წაიღო და საფურთხელაში ჩააგდო. შემდეგ აანთო თუთუნი და ისევ მიუჯდა სტოლს. თუთუნი არ უყვარდა მას და ძვირათ ეწეოდა, საპყრობილეში შეაჩვიეს. და გაუკვირდა, რომ ასე ეგემრიელა ეხლა მისი ბოლი, ასე მოუნდება ღრმათ ჩაეყლაპა ის, იგძნო.

შემოიბჯინა თავზე ხელები და მიაშტერდა წინ კედელს. კედელზე ეკიდა მისი ბავშის სურათი, ხელში მათრახით და მხარზე გადადებული თოფით ის იჯდა ხის ცხენზე; მატროსივით ჩაცმულს, მატროსულივე ქუდი ეხურა მას თავზე, რუსული წარწერით: „ცელქი“. შესცქეროდა გიორგი კედელზე ამ სურათს და კიდეც გრძნობდა მას, ვერც გრძნობდა. გრძნობდა რომ მის გულში მისდა უნებურათ ილვიძებდა თბილი გრძნობა, გრძნობა გამოწვეული ამ სურათის მიერ აღძრული მოგონებით და გრძნობა აგრეთვე, რომ ამ გრძნობას ებრძოდა მეორე გრძნობა, ცივი გრძნობა ახირებული სიმშვიდისა და უჩვეულო გულ გრილობისა ყველაფრისადმი. ბუნდოვანათ შედიოდა მის გულში საყვარელი სურათი, მის ცივსა და თითქოს გაჩუმებულ გულს უალერსებდა მოყვარული ხელები და თანდათან სძლევდა მეორე გრძნობას, თანდათან ერეკებოდა გარეთ და დაბოლოს გაცოცხლდა აკი ქაღალდზე დახატული სურათი, გაცოცხლდა და გაისმა გიორგის გულში იმისი წკრიალა, სუფთა ხმა. გაცოცხლდა და ჩქარა, ჩქარა აელურტულდა, როგორც გადასაფრენათ მომზადილი შაშვის ბარტყი.

ეს ხომ მისი შვილია, გიორგის შვილია და გიორგის ის ძლიერ, ძლიერ უყვარს. და ამ ბავშს ის ხშირათ ნახულობს რამდენიმე საათით. დიდი ვაი ვაგლახით აილო მან ნებართვა-მასთან, საკანში შეუშვან ბავში. და სატუსაღო ალმერთოს ამ პაწია არსებას. დიდი ამბით ეგებებიან ტუსაღები უჩვევულებ სტუმარს ამ სასტიკსა და გულქვა სახლში, სადაც ყველაფერი-სულიერი თუ უსულო-ცივია და უთანაგრძნობო. უადრეს ულოლიკდებათ, ანაქრონიზმათ გაისმის მისი წკრიალა ხმა აქ, ამ ყრუ შენობაში, სადაც მხოლოდ გმინვა და მუქარა უნდა ისმოდეს. და გიორგი ხედავს ამ წუთას სამ ბავშს, ხედავს ცოცხალს, ღიმილით სახეზე. ბაჯ-ბაჯით მოდის ის მამისკენ ორივე ხელებ წინ გამოწვდილი, მოდის, ეკვრის მუხლებზე და ახლა ხელებს მაღლა აპოტინებს-ამიყვანეო. სწვდება გიორგი მას. ხვევს ხელებს და მსუბუქათ, მსწრაფლათ აჰყავს მაღლა, იკრავს გულში, უკოცნის სახეს, თვალებს, თმას. შემდეგ ჯდება და იჯენს მუხლებზე იმას. და ეხვევიან ტუსაღები, რიგ რიგათ მოდიან... განსაკვირველია, სად გააჩენენ ისინი ასეთ შემთხვევაში რაიმე ტკბილეულობას: მოდიან და უწვდიან ხელს.

— სალამი ჟორჟიკს!

— გამარჯობა დინჯათ უპასუხებს ჟორჟიკი და თავის მხრითვე უწვდის პაწია ხელს.

— როგორ გიკითხოთ, ჟორჟიკ!

— გმადლობთ!

და ალტაცებული, გურწფელი სიცილი ფარავს ამ პაწია მამულიშვილის ხმას.

— ა-ა! გიორგი გიორგიჩ! როგორ ხარ გიორგიჯან! ტუსაღების ჯგუფი ირღვევა შუაზედ და წინ დგება ილიკო სიამაშვილი:- როგორ არის საქმე, აჰ?

ჟორჟიკიც ამას უცდიდა. რაკი ილიკოს ხედავს, ის ასკვნის რომ სიდინჯე და დარბაისლობა არც ისეთი რამ არისო, აქნევს ხელს და ფეხებს, იწყებს ცმუკვას ტანში ველარ ეტევა. ეს იმას ნიშნავს რომ ილიკომ ის მამას გამოართვას. და წამსვე გადადის ის ილიკოს მძლავრ მკლავებში.

— აბა ჟორჟიკ, ეხლა ვისაუბროთ მე და შენ.

— ვისაუბროთ!

— რა აზრის ხარ შენ, ამხანაგო ჟორჟიკ' ჰერბერტ სპენსერის სინტეტურ ფილოსოფიის შესახებ?

პირად შეურაცხყოფად ღებულობს ჟორჟიკი ამ ახირებულ და ეშმაკურ სიტყვებს, ამიტომ ის არც აცივებს, არც აცხელებს,

* იხ. „ჩვ. ცხ.“ № 4.

ქუთაისის განყოფილება ამხანაგობა პაიებით ს. მ. კირაკოზოვი, ბ. გ. ოგანოვი და ამხ.
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში. განყოფილებები: ქ. ტფილისში, გიორგიევსკში, ანდოლში, პიატიგორსკში და გროზნაში.
С. М. КИРАКОЗОВЪ, Б. Г. ОГАНОВЪ и К°-
მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუნჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით.
полученъ огромный выборъ Сатины батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, ситца другихъ тканей съ модной каймой. 3—1—

აუარებელი საჩივრები და თხოვნები მოდის სავალდებულო დასვენების დადგენილებათა ხელახლა გადასათვალიერებლათ და შესაცვლელათ.

✦ ვაჭრების გაჭივრებას ხმოსნებიც აულაპარაკებია. 4 ივლისს, ქალაქის გამგეობაში კოლექტიური განცხადება შეიტანა ქალაქის საბჭოს ჩვიდმეტმა ხმოსანმა. ხმოსნები უკანონოთ ცნობენ მოსამსახურეთათვის არსებულ სავალდებულო დადგენილებას და მოითხოვენ მის გადასინჯვას და შეცვლას.

✦ თფილისის ქალაქის გამგეობა ადგენს კრებულს საარჩევნო კანონმდებლობის ზოგიერთ მუხლებისას. კრებული უფასოთ დაურიგდებათ მსურველთ.

✦ თფილისის სახაზინო პალატა ამთავრებს სიების შედგენას იმ პირებისას, რომელთაც ბინის სახაზინო გადასახადებით უფლება ეძლევათ მეოთხე სახელმწიფო დუმის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

**დარკვეთი**

28 ივნისს, დარკვეთის დუქნებს ზემოთ, საჩხერის ძველ გზაზე, წყლის პირას იპოვნეს დასახიჩრებული უცნობი კაცის გვამი. მკვდარს რამდენიმე ჭრილობა აქვს ხანჯლით და შემდეგ დიდი ქვით თავი აქვს გაჭყლეტილი. იქვე იპოვნეს ორი ხანჯალი და ერთი ხანჯლის ბუდე, ერთიც ვერცხლის საათი. ყველა ეს და გარშემო დაღვრილი სისხლი მოწმობს, რომ მოწინააღმდეგეთ დიდხანს უბრძოლიათ. იქვე იპოვნეს მკვლელების პერანგის ნაგლეჯი და ყაბალახი. მკვლელობის ადგილს გაჩნდა ქიათურის ბოქაული სტრაჟნიკებით და თან აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, მაგრამ მოკლული ვერავინ იცნო და ვერც მკვლელების კვალს მიაგნეს. მოვიდა გამომძიებელიც. ასეთი მკვლელობა იმავ ალაგს მეორეა. პირველი მოხდა ორი თვის წინეთ, მაგრამ მაშინ ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მოკლული კლდეზე გადაჩეხილიყო.

— დარკვეთში 6 ივნისს დაწყებული გაფიცვა დასრულდა, მუშებს შეპირდენ ქირის მომატების გარდა სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

## მეოთხე დუმის გარშემო.

(გაზეთებიდან).

**ხუცები და დუმა.** „უტრო რსი“. გადმოცემით სინოდის წევრთა შორის აზრი დაიბადა, რომ შეცვლილ იქნას სახელმწიფო დუმის ის დებულება, რომელიც ეხება სამღვდელოებას. მათის აზრით, რადგანაც ქალაქის გამგეობაში და არც საერობო კრებაზე მღვდლები არ ირჩევიან, არამედ ინიშნებიან საეპარქიო მთავრობის მიერ, სახელმწიფო დუმაშიც ამ გზით უნდა შედიოდენ ისინი. განზრახულია—თითეულ ეპარქიიდან თითო დეპუტატი გაიგზავნოს, ხოლო მოსკოვის, კიევის მიტროპოლიიდან და საქართველოს საეგზარხოსოდან ორ-ორი წარმომადგენელი. თუ ეს პროექტი განხორციელდა ჩვენს ხუცებს, მაშინ დუმაში 72 დეპუტატი ეყოლებათ. ეპისკოპოზს ნება ექნება მათი უოვლდ დროს გამოცვლისა.

**რუსეთში სახელ.** დუმის დაწესებისას ეპისკოპოზს სინოდში განუცხადებიათ, რომ მღვდლებს საეკლესიო წესების ძალით არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სახ. დუმაში. ეს აზრი ეხლაც გაუგონიათ უწმ. სინოდისთვის, მარა სინოდს უპასუხნია— მღვდლებს უოველთვის აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადო საქმეებში, როცა კითხვა ეკლესიას ეხება.

**ოქტომბრისტები ოდესაში.** ადესაში ამომრჩეველთა მეორე კურიაში, ოქტომბრისტებს გამარჯვების იმედი არა აქვთ; ამის გამო გუჩკოვის დოცვა—კურთხევით პირველ კურიას მიმართვენ.

**ეს-ერები და მეოთხე დუმა.** „გოლ. მოსკ“. ცნობით აგვისტოში საზღვარგარეთ მოხდება ეს-ერების კონფერენცია, რომლის მიზანია ბოლო მოუღოს პარტიაში არსებულ უთანხმოებას მომავალ დუმის არჩევნების შესახებ. წინასწარ კრებებზე გამოირკვეულა, რომ პარტიის ორგანიზაციათა უმეტესობა მომხრე ყოფილა დუმის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, რათა გამოიყენონ სააგიტაციო ტრიბუნათ. ხოლო პარტიის საზღვარგარეთელი ჯგუფი კი სრული წინააღმდეგი ყოფილა ამ ტაქტიკის.

# დეპეშები.

(პ. ტ. ს.).

4 ივლისი.

**რუსეთი.**

**ასტრახანი.** შეამოწმეს, რომ დღეს ხოლერით ავათ გახდომის მეორე შემთხვევა იყო.

**პეტერბურგი.** გაზეთ „რეჩის“ რედაქტორი 500 მანეთით დააჯარიმეს 3 ივლ. ნომერში დასტამბულ მოწინავე წერილისათვის. მიწათმოქმედებამ უწყებამ დაადგინა გამართოს არხანგელსკში ლაბორატორია იმ პრაქტიკულ კითხვის გამოსარკვევათ, თუ მეურნეობის რა დარგების წარმოება შეიძლება ჩრდილოეთ რუსეთში.

**კიევი.** ნაციონალისტების კლუბში გაიმართა მონარქიულ ორგანიზაციების შეერთებული კრება, რომელმაც დაადგინა, შეერთებული ძალ-ღონით მიიღონ მონაწილეობა დუმის არჩევნებში; შეკრიბონ ფული საარჩევნო ფონდისთვის და მიიღონ ენერგიული ზომა, რომ პენსიონერების და ბინის დამქირავებელთა წრეებიდან არჩეულ იქნან მათი მომხრე „ვიბორშჩიკები“; დაადგინეს გაიყვანონ არჩევნებში ის, ვინც წინასწარ კრებაზე მეტ ხმას მიიღებს; გამოითქვა სურვილი, რომ ყველა მემარჯვენე ორგანიზაციები მიემხრონ მემარჯვენე ნაციონალისტების ბლოკს შეერთებული უცხოელების ბლოკის წინააღმდეგ.

**თფილისი.** თერგის ოლქში ს. ატაჟუკინოში სეტყვამ მოკლა 4 ბავშვი, დაიჭრა 7, მდ. მალკაში იპოვეს სეტყვისაგან დახოცილი 30-მდე ცხენი; სეტყვას მდინარეში დაუხოცია აგრეთვე ბევრი თევზი.

**უცხოეთი.**

**შანხაი.** ერთ კვირაში სიკვდილით დასაჯეს კანტონში სულ 200 კაცი, უმეტესათ ახალი რეჟიმის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის; ზოგი ყაჩაღობისათვისაც.

**ლონდონი.** სათემო პალატაში შეკითხვაზე გრეიმ განაცხადა, რომ რუსეთის მისიამ კითხვა აღძრა, დაარსებულ იქნას თავრიზში სპარსელ კაზაკთა რაზმი რუსთა აფიცრის უფროსობითო, რაზედაც სპარსეთის მთავრობამ თანხმობა გამოაცხადა; ამიტომ ინგლისის ამ საქმეში ჩარევა, ვფიქრობთ, მეტი იქნებოდა. რაც შეეხება იმას, თუ რას ფიქრობს ინგლისის მთავრობა სამხრეთ სპარსეთში ინგლისის აფიცრების უფროსობით რაზმების დაარსების შესახებ, გრეიმ უპასუხა, რომ ზომებს მიიღებს, ვიდრე იქ წესიერება არ დამყარდება.

**ცინცარი.** პროვინციაში მღელვარების გამო გუბერნატორმა დააწესა ახალი ცენზურა ფოშტა-ტელეგრაფის კორესპონდენციის შესახებ და განკარგულება მოახდინა, რომ გაძლიერებულ იქმნას თვალყურის დევნა საეჭვო ელემენტების შესახებ.

**ლისაბონი.** შრაგას ოლქში მთავრობის ჯარს მონარქისტებთან შეტაკება მოუხდა. ორი მონარქისტი მოკლეს, ბევრი დაატუსაღეს.

**კონსტანტინეპოლი.** კაბინეტი სამსახურიდან გადადგა, რადგანაც სამხედრო, საზღვაო და ფინანსთა მინისტრებმა სამსახურს თავი გაანებეს.

**თეირანი.** მთავრობამ გადაწყვიტა დაარსოს თავრიზში ორი რუსის აფიცრის უფროსობით კაზაკთა ბრიგადა, რომელიც შედგება 4 ურიადნიკისა და 642 კაზაკისაგან. ბრიგადა უნდა შედგეს დაუყოვნებლივ.

**კულჯა.** ჩუგუჩანის მოლაპარაკება მშვიდობიანათ დამთავრდა, შედეგი მხარის დასადებათ იუნშიკაის წარედგინა. დეპუტატები უკანვე დაბრუნდენ. ჯარი კი შიხოში გაიწვიეს.

**ურგა.** დედოფალ უტუხტას ბრძანებით მოჟახოს ნაცვლათ მთავარ მინისტრათ დაინიშნა მონგოლებისაგან დიდათ პატივცემული და ავტორიტეტიანი ენერგიული ახალგაზდა თავადი საინოერ ხანი.

# რუსეთი.

(გაზეთებიდან)

**ქალთა სიეზდი.** მიმდინარე წლის 26 დეკემბრისათვის ქალთა თანასწორობის რუსეთის ლიგას განზრახვა აქვს ქალების სიეზდი მოიწვიოს. სიეზდზე აღძრული იქნება სხვადასხვა კითხვები ქალთა საკითხის მოსაწესრიგებლათ.

**ლენის მუშები.** „კიევს. მის.“ გადმოცემით ბოდაიბოდან გაფიცვისათვის გაძევებულ მუშათა პირველი ეტაპი სამ ივლისს გამოვიდოდა. — ირკუტსკიდან დაბრუნებულმა პროკურორმა ნემანდოვმა განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია განთავისუფლებულ იქნან მუშების დელეგატები, რომელიც დატყვევებულნი არიან.

**დატყვევებული პოეტი-ქალის ავათმყოფობა.** ვარშავის ციხეში 4 წელიარაც ზის პოეტი—ქალი მარიამ გლიკსონი, რომელიც ისჯება პოლონეთის სოციალისტურ პარტიის წევრობისათვის. ამ ჟამათ ქ. გლიკსონი ძლიერ ავათ ყოფილა, მშობლებს უთხოვიათ თავდებქვეშ განთავისუფლება, მარა უარი უთქვამთ.

**გაფიცვები.** ლიბავაში გაჩხრიკეს კოოპერატიული საზოგადოება „ზედსი“, ეძებდენ გაფიცვის კომიტეტს.

— ბელოსტოკში ხუთი თვეა, რაც შაპიროს ქარხნის მუშები გაფიცულნი იყვენ. მუშებმა ისევ ძველ პირობებში განაახლეს მუშაობა, რადგან შტრეიკბრეხერების შეეშინდათ.

— ძაფის სართავ მეორე ქარხანაში გაიფიცა მუშების ჯგუფი; ამ გარემოებამ გამოიწვია მთელი ქარხნის მუშების (2 ათასი კაცი) შეჩერება.

— პეტერბურგში ქარტების მხატველ რუდნევს გაეფიცა მუშები; მიზეზი ხელფასის თავის დროზე მიუღებლობაა.

— ელისავეტგრადში ისევ გაიფიცენ ელვორტის ქარხნის მუშები, რადგან, ადმინისტრაციამ თუმც დაპირდა მათ გაფიცვის დროს წამოყენებულ მოთხოვნილებათა ასრულებას, მარა შემდეგ კი დანაპირები არ აასრულა.

# უცხოეთი.

(გაზეთებიდან)

**გაფიცულები გერმანიაში.** გასულ წელს გერმანიაში ერთობ უმატებია გაფიცვათა რიცხვს. აი რა სურათი იშლება, როცა ქვევით მოყვანილ სტატისტიკურ ცნობებს გავითვალისწინებთ. 1911 წლის განმავლობაში 10,640 დაწესებულებაში მომხდარა 2,566 გაფიცვა, გაფიცულა 217,800 მუშა. 1910 წელთან შედარებით 62 ათასით მეტი მუშა გაფიცულა. გაფიცვათა უმეტესობა გამოწვეული ყოფილა ხელფასის მომატების ნიადაგზე. ამ მიზნით სულ გაფიცულა 182,680 მუშა. სამუშაო დღის შემოკლება მიზნათ ქონია 752 გაფიცვას, რომელშიც მონაწილეობა მიუღია 83.695 მუშას. ყველა ამ გაფიცვებიდან მუშებს მოუგიათ სრულიად 497, ზოგიერთი მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილებიათ 1.186 გაფიცვაში, ხოლო სულ წაუგიათ 883 გაფიცვა.

საანგარიშო წელს ლოკაუტების რიცხვი გაცილებით ნაკლები ყოფილა წინა წელთან შედარებით: 1911 წ. განმავლობაში 232 ჯერ ყოფილა ლოკაუტი მუშების წინააღმდეგ მიმართული, 1910 წელს კი 1115 ჯერ.

**ოსმალეთის მდგომარეობა.** როგორც ვიცით, ოსმალეთ-იტალიის ომი ისევ სწარმოებს და ზავის ჩამოგდება ჯერაც ვერ მოხერხებულა. აქამდი ამის მოწინააღმდეგე ოსმალეთი იყო, მარა ახლა, როგორც ირკვევა, ოსმალეთიც თანახმაა ზავის ჩამოგდებაზე. პეტერბურგში ცნობა მიუღიათ, რომ ოსმალეთის მთავრობა ჩუმათ აწარმოებს იტალიასთან შერიგების საქმეს, პირველათ თვითონ ოსმალეთს ჩამოუგდია ამაზე ლაპარაკი. ზავის პირობები კომპრომისულია. რამდენათაც შესაძლებელი იქნება, უნდა დაიკმაყოფილოს ორივე სახელმწიფოს თავმოყვარეობა და ინტერესები. პირობების ძალით იტალიამ კირენაიკა. უნდა დატოვოს, ტრიპოლისი კი მას რჩება, ხოლო იმ პირობით, რომ მაზედ ვრცელდებოდეს სულთანის რელიგიოზური სუვერენიტეტი. უნდა უკანვე დაუბრუნოს იტალიამ ოსმალეთს აგრეთვე ეგეის ზღვაზე მის მიერ დაჭერილი კუნძულები.

მართალია ამ მოლაპარაკებას დიპლომატია ჩვეულებისამებრ ჩუმათ აწარმოებს და ოფიციალურათ არაფერი ვიცით, მარა ყველაფერი ეს რომ ჭკუასთან ახლოა, ეჭვს გარეშეა.

ოსმალეთი დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ ზავი მისთვის აუცილებელია. სად შესწევს ის ომის განგრძობას, როცა შინაური საქმეები სულ აეწეწა: ალბანეთის აჯანყებამ და ჯარების არეულობამ ლამის არის დაამხოს ახალგაზდა ოსმალების რიცხვი. უკანასკნელის ცნობებით ალბანეთის აჯანყება თანდათან იზრდება და მთავრობას დიდ საფრთხეს უმზადებს. ოფიციალურის ცნობებით, რასაკვირველია, მთავრობის ჯარები იმარჯვებენ, მარა საქმის მდგომარეობა რომ მართლაც ასე იყოს, დღემდი კიდეც უნდა ჩაექროთ აჯანყება. პირ-იქით, როგორც სტახტოგაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან გამარჯვება აჯანყებულთ მხარეზეა. პრიზრენში, მაგალითათ, ალბანელებს სამი დღის ბრძოლის შემდეგ 120 სალდათი დაუტყვევებიათ, მეორე ადგილს მოუკლავთ და დაუჭრიათ 180, თან ბლომათ სურსათიც ჩაუგდიათ ხელში. მეორე მხრივ ჯარების არეულობაც უფრო ფართე ხასიათს იღებს. აჯანყებულ ჯარების აფიცრები ჯერჯერობით აქტიურ მოქმედებას ერიდებიან, ცდილობენ მეტი მომ რეების შეძენას. მონასტირის ჯარები აღფრთოვანებაში მოუყვანიათ შეფექტ-ფაშას გადადგომას. სალონიკში გრანდიოზული მიტინგი (8000 კაცი) მომხდარა, ჯარებს სამინისტროს გადადგომა მოუთხოვიათ.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, აიძულებს ოსმალეთის მთავრობას, რომ ზავირაც შეიძლება მალე ჩამოაგდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ისედაც დაფუშული მართვა-გამგეობის მექანიზმი სულ მოიშლება.

**გაფიცვები რუმინიაში** რუმინიაში გაფიცვებმა რევოლიციონური ხასიათი მიიღო. ყოველ დღე დემონსტრაციები იმართება. ჯარები წეს რიგს იცავენ. კონსტანცაში ბუქარესტის მუშების სოლიდარობის გამოსაცხადებლათ გაიფიცა რამოდენიმე ათასი მუშა მინისტრთა კომიტეტი

---

დარწმუნებული რომ ილიკოს მკლავებიდან ძირს არ ჩამოვარდება, სწვდება მის გძელ თმაში და ჯიჯგნის რამდენიც შეუძლია.

— იგი შენ!

მაგრამ ილიკო როდი ეხრება, კიდევ მეტ შეურაცხყოფას აყენებს.

— ჰო, რაკი სპენსერი არ გსურს, ვისაუბროთ ამხანაგო იმმანუელ კანტის კრიტიკულ ფილოსოფიაზე.

ეხლა უკვე მოთმინებიდან გამოსული ჟორჟიკი აღარ ზოგავს მტერს, მთელი თავისი ძალ-ღონით ეწევა ის თმას და სურს მოაგლიჯოს. ტუსაღები აქეზებენ, ილიკო ბოდიშს იხთის. კმაყოფილი ჟორჟიკი ელერსება ილიკოს.

საერთო სიცილ-ხარხარში ჟორჟიკას უცებ აგონდება, რომ, როცა ის ილიკოს ხელში გადავიდა, მისი სურვილი იყო ილიკოს კისერში ჩაჯდომოდა და გაეჭენებია ის. და ეპოტინება ის კისერში.

— ნუ ხარ ჟორჟიკ, სულელი! არიგებს ილიკო.

— ალ ვალ მე სულელი!

— როგორ არ ხარ? აბა, რომელი ჭკვიანი კაცი აჯდება კისერში კაცს? შენ კი კისერში ჩამჯდე გინდა.

— მინდა! აბეჯითებს ჟორჟიკი.

— ჰო და რომ გინდა, ამიტომ შენ ხარ სულელი!

— ალ ვალ მე სულელი!

კიდევ უფრო დაბეჯითებით იძლევა პასუხს ჟორჟიკა—და იმართება წელში, რათა სურვილი განახორციელოს...

გიორგის სიხარული იპყრობს—აი ეს მისი შვილია, ეს ცელქი, მშვენიერი ბავში, ეს მისი შვილია!

და უცებ ის ილვიძებს თითქოს. პაპიროსი ჩამქრალა, ბავშვი იდუმალ შეპარულა მის გულში, გულში, სადაც ისეთი სიცივეა, ისეთი გულ-გრილობა და უჩვეულო სიმშვიდე... და გაქრა უცებ მოჩვენება, ყველაფერი მიყუჩდა, გიორგი ისევ მარტო დარჩა...

VI.

როგორც ეს საზოგადოთ ხდება, მოდუნებული, აპატიური მდგომარეობა სიცოცხლის ამოძრავებით შეიცვალა. გიორგი ნელ-ნელა გამოერკვა. და იგრძნო მან, რომ სცივა, რომ ილლიებში ცივი ოფლი სდის, რომ გული, რომელიც შეჩერებული ეგონა, პირიქით, უფრო აჩქარებული უცემს.

და შეგნებულათ, გარკვეულათ მხოლოდ ეხლა დაისვა მის თავში კითხვა: რა მოხთა?

და შეგნებულათ, გარკვეულათვე მიიღო პასუხი, სულ უბრალო რამ მოხთა— ნინას ალბათ ვინმე შეყვარებია.

სულ უბრალო, ნათელი და მარტივი, გამოდგა ყველაფერი, ისეთი მარტივი როგორც ორჯერ ორი. იმ ორი წლის განმავლობაში, რაც გიორგი დატუსაღებული იყო, ნინა ალბათ შეეჩვია ვისმე, შეეთვისა და ეხლა უყვარს იგი. სულ უბრალო და მარტივია ყველაფერი.

პატარა გოგოც ატირდა, პატარა გოგოცანაო,
მაგრამ ჩემს დაბრუნებამდე სხვა ნახა ჩემისთანაო!

პირზე ღიმილით მოაგონდა მას აკაკის ლექსი. და თითქოს ვილაც ნაცნობის შესახებ გაიგოვო მან საინტერესო ამბავი, სადაც თვალ-წინ დაეყენებია ის, ვიზედაც ლაპარაკი იყო, მან სცადა მოეგონებია ნინა, თვალ-წინ დაესვა ის.

და დაინახა მან ტანადი, საშვალოზე მაღალი ქალი. შავ-შავი, დიდრონი თვალები აქვს მას, ღრმა, შინაარსიანი, ჭკვიანი თვალები... სიარული კოხტა და მოხდენილი აქვს, მარდი, ეშხიანი ქალია და მშვენივრათ იცინის... დიახ, დიახ, მშვენივრათ იცინის, რაღაც განსაკუთრებული სიცილი აქვს იმას, როცა გულწრფელათ იცინის. მისი სიცილი იწყება ბაგესან, მერე იხევს უკან, იკარგება მკერდში და იქ, თითქოს სიმღერათ ქცეული, იფანტება. არა, როდი იცინის ნინა, ის მღერის. და ამ დროს ის აჩენს კბილებს, გძელ-გძელ, სუფთათ გათლილ, თეთრსა და მწყობრ კბილებს. ცოტათი მაღალი კისერი აქვს მას და როცა დგას, ოდნავ განზე აქვს მოღერებული, აი ისე, როგორც მიმინოს... შავი და სქელი წარბები მაღალ შუბლზე, შავივე, ოდნავ ხუჭუჭი, სქელი თმა, რომელსაც ძლივს იმორჩილებს... და შავგვრემანი რომ არის ეს კიდეც სჯობია, ერთი ორად თითქოს უმატებს... ლამაზი დედაკაცია ნინა, მართლაც რომ ლამაზია...

„ჰო და რა გასაკვირველია, რომ იმას ეარშიყებოდენ, ამ მოარშიყეთა შორის ერთი სხვაზედ უკეთესი ბედისა გამოდგა, ორი წლის განმავლობაში მოინადირა ნინას გული-სიყვარული ბრძოლაა, თუ არ სძლიე ქალი ისე ვერ შეიყვარებს. ალბათ სძლია ვინმემ ჩვენი ნინიკა!..

**გერი.**

(შემდეგი იქნება)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვ-ბის სავაჭრო სახლი

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას—ვინაიდან საზღვარგარეთისა და რუსეთის პირველ ხარისხოვან მწარმოებლებთან შეღავათიანი პირობებით არის შეკრული, შესაძლებლათ სცნო მინიმუმამდი დასწიოს ფასი

**საწერ და კანცელარიის საჭირო ნივთებზე.**

ახალი პრეისკურანტები კანცელარიებს მუქთად დაურიგდება. მ.—1—4

## ? დავით ქეზაძე ?

მ—5—4.

მკითხველების საყურადღებოთ

## სავაჭროში ძმ. ფ და ლ. ფილიპოვების სავაჭროში

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ფეჩები და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და პირ-საბანები და სხვა.

დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების

**პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ** აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები, **ფასები შესამჩნევად დაკლებულია.** მ—5—4


განუწყვეტლივ სხდომებს ახდენს. მოელიან გაფიცულებს სასტიკათ დასჯას.

**საყოველთაო არჩევნები ინგლისში.** საყოველთაო არჩევნების ზილი მეორეთ კითხვის დროს ხმის უმეტესობით გავიდა.

### სიბინძურის ბუდე.

წყალთა შუა ბოლოზე რიონის პირათ არის ერთი კარგა მოზრდილი ალაგი. რომელიც ეკუთვნის სხვადასხვა პირს. აქ ქალაქის გამგეობის განკარგულებით ყრიან დღისით თითქმის მთელი ქალაქის ნაგავს და ღამით კი ფეხის—ალაგების ბოჭკებსა სცლიან. ამის გამო ამ ადგილებში იმდენი ბუზი მრავლდება, რომ დღისით სახლის კარ-ფანჯრები ვერ გაუღიათ. ფანჯრების უმეტეს ნაწილს რკინის ბადეები აქვთ გაკრული რომ ზაფხულის პაპანაქება სიცხეში გაბედონ ფანჯრის გაღება და არ ამოიხრჩონ სიცხისაგან, მაგრამ ოთახში შეს·სვლელად გაიღებ კარებს თუ არა, მაშინვე ოთახი ბუზებით გაივსება, რისთვისაც ყოვლად შეუძლებელია გულდასმით ისადილო; აუცილებლად ცალ ხელში მოსაგერებელი იარაღი უნდა გეკავოს და მეორეთი ლუკმას იღებდე პირში. ვინ იცის რამდენი ბუზი გადაივლის გაწყობილ სტოლზე თავისი სხდ ნამყოფი ფეხებით.

თუმცა ღამისა თუ დღისით მომუშავენი მოვალენი არიან მდ. რიონში ჩაუშვან ყოველივე სიბინძურე, მაგრამ რომ თავი არ შეიწუხონ იქვე მინდორზე ყრიან და ასხამენ, რაც სულ ერთიან წამლავს იქაურობას და მცხოვრებლებს სიცოცხლეს უმწარებს.

აქვე ყრიან თურმე შუაგულ ქალაქში შემთხვევით დახოცილ ცხოველებსა ცხენს, ძაღლს, კატას და საყასბოებში დარჩენილს აყროლებულ ხორცსა. აი სწორეთ ხსენებულ სიბინძურის გარშემო აუარებელი ბუზი მრავლდება, სწამლავს გარშემო ადგილებს, განსაკუთრებით კი ხსენებულ შესახვევს.

ამის შესახებ, როგორც ამბობენ, დიდი ხანია თურმე შესახვევის მცხოვრებნი ემუდარებიან ქალაქის ძველსა თუ ახალს გამგეობას, რომ მოსპოთ ამ ქუჩიდგან ნაგავ-სიბინძურის ზიდვა მაგრამ მუდარა მუდამ მუდარათ რჩება და მცხოვრებნი ბუზების საწუწნათ ხდებიან.

როგორც კი ახალი ქალაქის თავი აირჩიეს, მაშინვე ამდგარან მთელი ქუჩის მცხოვრებნი და ქალაქის თავს წარსდგომიან თხოვნით, რომ დაეხსნა ისინი მთელი ქალაქის ნაგავ-სბინძურისგან; ქალაქის თავი დაპირებია თხოვნის შესრულებას, მაგრამ მას მერმეთ ორი წელიწადი გადის და მთხოვნელები ისევ იმ დღეში არიან, ისევ ისე იტანჯებიან ბუზებისა და ჯოჯოხეთური სიმყრალისაგან. ბოლოს მოთმინებიდგან გამოსულთ ოქმის შესადგენათ მოუყვანიათ სანიტარული კომისია, თავმჯდომარე ბ. ჟღენტი პოლიციელის თანხლებით, რომლებიც ძალიან უკმაყოფილო დარჩენილან იქ ნახულით. პოლიციის წარმომადგენელს უთქვამს მცხოვრებთათვის, რომ თუ ქალაქი არ ღებულობს ზომას გუბერნატორს მიმართეთო, მაგრამ ბ. ჟღენტს უთქვამს: დამაცადეთ ოქმს შევადგენ და მერმე უკეთესი იქნება გუბერნატორთან მისვლაო. მარა დანაპირები არ შეუსრულებია. ასე იტანჯებიან ხსენებული ქუჩის მცხოვრებნი მთელი ქუთაისის ნაგავსიბინძურეში და რამდენი ხანი აქვთ კიდევ გადაწყვეტილი ასეთი სატანჯველისათვის არ იციან. ჩვენ ძალიან გვიკვირს. მართლაც თუ რა დააშავეს იმ ქუჩის მცხოვრებლებმა ქუთაისის ქალაქის ცენტრის მცხოვრებლებთან ისეთი, რომ ასე სასტიკათ სჯიან? არადა რა მოვალენი არიან მთელი ქუთაისის სიმყრალე მათ იტვირთონ?.

გაზეთში ამოვიკითხე: თურმე ორი თვის განმავლობაში ერთი ბუზი მრავლდება 26 მილიონამდი. ზ თუ ამინდი დაურჩა ეს 26 მილიონი წარმოუდგენელ რიცხვამდე გაიზდება.

ერთ ბუზს თურმე შეუძლია გადაიტანოს ფეხითა და ფრთებით ერთი ადგილიდან მეორეზე 7 მილიონი ბაკტერია და გაავრცელოს სენი. აქედან ცხადია თუ რა დიდ საფრთხეს წარმოადგენს მცხოვრებლებისათვის ზემოთ აწერილი სიბინძურის ბუდე, და ისიც იმ დროს, როცა მოსალოდნელია ხოლერა გაჩნდეს. საჭიროა საჩქაროთ დაკმაყოფილებულ იქნეს წყალთაშუა მცხოვრებთა კანონიერი მოთხოვნილება, რომ განავალი თუ სხვა სიბინძურე იქ არ იყრებოდეს, რომ იქაურ მცხოვრებთ შეეძლოსთ თავიანთ სახლში ცხოვრება.

**მეგობარი.**

### დაბა-სოფელი.

**საჩინოს მხარე.** (იმერეთი). ეს მხარე ყოველის მხრით ჩამორჩენილია იმერეთის სხვა კუთხეებთან შედარებით. უგზოობის გამო თითქმის ყოველივე ბუნებრივი სიმდიდრე, რაც კი აქ მოიპოვება, გაუცნობელი რჩება.

ამ მხარეში ხშირად იპოვება გოგირდის აბანოები, მაგალითათ ს. დგალიშვილებში. ინაშორში, ზეკარში და სხვაგან. მთებში მწყესები, თურმე ხშირათ პოულობენ ცხელ წყაროებს, ზოგიერთ ალაგას ძველ დროში თურმე საბანაოებიც ყოფილა მოწყობილი, დღეს კი ყოველივე ეს დავიწყებულია. უგზოობის გამო იმერეთი ასეთი ბუნებრივი სიმდიდრით ვერ სარგებლობს: იმერეთიდან საავადმყოფოთ სხვადასხვა დაშორებულ ალაგებში მიდიან, მაშინ როდესაც იმავე თვისების წყლებიც, შინაც მოეპოვებათ. ამ წყლებს ეტანებიან მარტო ამავ მხარის მკვიდრნი და მათი სახელიცა და დიდებაც აქვე რჩება.

სწავლა განათლებითაც აქაური სოფლები ძალიან ჩამორჩენილია იმერეთის სხვა სოფლებზე; სამინისტრო სკოლები ძალიან ძვირია. მთებში მდებარეობს ხუთი საზოგადოება, რომლებიც კმაყოფილდებიან მარტო ერთკლასიანი სამრევლო სკოლებით, რომელთაგან უდიერსი ჭირისუფლის გამო, ზოგიერთი გაქრობის გზას ადგია. არის ისეთი სოფლებიც სადაც შკოლა სულ არ არის და არც მოსავლისთვის იჭერენ თავდარიგს, მაგალითათ ს. ისრითი და დიხაშხო. ჭინახულის შესახებ აქაური მთის სოფლები უნუგეშო მდგომარეობაშია ჩავარდნილი. წასული ორი წლის განმავლობაში ყანები თითქმის სულ მოუცდათ ახალ დამუშავებული მიწა წვიმის დროს მთიდგან დვარს ძირს ჩამოაქვს და აფუჭებს ნათესს. აქაურს გლეხს თითქმის ხანდახან ორჯერ მოუხდება ყანის თესვა.

რადგან ყანა გლეხებს დიდს იმედს არ აძლევს, ისინი მეტს ყურადღებას მეურნეობის სხვა დარგს აქცევენ. როგორც მთელს იმერეთში, ისე აქაც ამერიკული ვაზები და მევენახეობა ძალიან გავრცელებულია. ბევრ მოდგინეთ აშენებენ დაფნას და თხილს, რომელსაც ამ ბოლო ხანებში კარგი ფასი დადო. თხილი ბევრი მიდის ს. მეღუხში და გადიდში.

სადაც ზოგიერთ შეძლებულ გლეხს რამდენიმე ქცევა მიწა დაუთმია მისთვის ის წელიწადში 300-500 მანეთის თხილს ყიდის. დაფნის გაშენებას უფრო მისდევენ **ბზვანში** და **ინაშორში. ვანისა** და ტობანიერის საზოგადოებაში ძალიან გავრცელებულია ბამბის თესვა. ამ ბოლო დროს მთავრობამ განიზრახა ს. **ვანში** ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დაარსება, რომელსაც დამოკიდებულება ექნება სამტრედიის ფოსტა-ტელეგრაფთან. ვანელები ამ კულტურულს და ფრიად სასიაკოვნო საქმეს ისე უხარიან, როგორც ამოსავალს მზეს: იმ იმედით რომ, იქნებ შემდეგ აქაურს ნიაღ-დვრიან გზებს თავი დავაღწიოთ. რადგანაც ეს საქმე დიდს ხარჯს ითხოვს და ვანელებს მისი გასასხავი ექნელებათ, ისინი დახმარებას სთხოვენ სხვა მახლობელ საზოგადოებებსაც. ს. დგალიშვილების საზოგადოებამ აღუთქვა 250 მ. შემწეობა.

ფოსტის დაარსებით საჩინოს წელს ერთი ნაბიჯი წინ გადადგა.

**დროებით აქაური.**

### ღია წერილი.

მამაო დომენტი!

აგერ სამი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც მე ბათუმში სხვადასხვა პირებისაგან შემოწირული თექვსმეტი მანეთი გადმოგეცით, იმ პირობით, რომ თქვენ ბიბლიოთეკა-სამკითხველო განცელარიაზე გადმოგეტანათ, რომ ორივე სოფელს, ქვიტირს და დანირს, შეძლებოდა სარგებლობა. ეს თქვენ ვერ შესძლეთ და არც ფულს მიბრუნებთ, მიუხედავათ იმისა, რომ მრავალჯერ გთხოვეთ პირადათ, თუ სხვა კაცისპირით. ერთხელ კიდევ მოგმართავთ გაზეთის საშვალებით და გთხოვთ—უგანვე დამიბრუნოთ ხსენებული ფული, რომ პატრონებს დავუბრუნო და მათთან პირნათლად გამოვიდე, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები სხვა საშვალებას მივმართო.

**ვ. რუხაძე.**

### წერილი რედაქციის მიმართ.

(ბ.ბ. ვ. ქობულიას და დ. გოგიავას საპასუხოთ).

„ჩვენი ცხოვრების" № 4-ში და „კოლხიდის" 29 ივნისის ნუმერში—პირველში დ. გოგიავა, ხოლო მეორეში—ვ. ქობულია სამედიატორო სამართალში გამოსაწვევ წერილს პოლემიკურ ხასიათს აძლევენ. არსებითად იმ წერილებზე მე ვიტოვებ უფლებას გამოვსთქვა ჩემი აზრი სამედიატორო სასამართლოში, ხოლო ახლა აღვნიშნავ ორ ფაქტს: 1) პეტერბურგიდან ჩამოსვლისათანავე მე სიტყვიერათ წინადადება მივეცი მათ დაენიშნათ მედიატორეები და შემდეგ გამოქვეყნებულიყო გაზეთებში განაჩენი. საქმის გაჭიანურებისთვის მათ ეს წინადადება უარყვეს ,,გაზეთითვე გვიპასუხეთო''. 2) მაშინ ,,კოლხიდა'', სადაც მათ მოათავსეს წერილი, არ გამოდიოდა და მის განახლებისათანავე მე გადავეცი რედაქციას წერილი, რომლის დაბეჭვდა დაგვიანებულა ტეხნიკურ პირობების გამო... ერთი სიტყვით, სექტემბერიც შორს არ არის, ბატონებო, და მაშინ ყველაფერი გამოირკვევა. მხოლოდ ნუ დაგავიწყდებათ, რომ პირველ წერილში ,,კოოპერატორს'' ჩემ განუყრელ ,,მეთ'' სახავდით. ახლა მეორე პირსაც იწვევთ. ისიც გამოვა, რა თქმა უნდა, მაგრამ იცოდეთ, რომ ცილისწამებისთვის პასუხს მოგთხოვთ.

**იასონ გაბილაია**

რედაქტორ-გამომცემელი **ა. სულაქველიძე.**

### მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

18 აპრილიდან 1912 წ.

(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

**ქუთაისიდან გადის:**

**თფილისისაკენ:** ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33, 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

**ბათომისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

**ფოთისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. საღ., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

**შორაპნისაკენ:** სახ. № 29 4 ს. 45 საღ.

**ტყიბულისაკენ:** სახალხო № 42 4 ს. 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ. დილ.

**ქუთაისს მოდის:**

**თფილისიდან:** სახალ. № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ.

**ბათომიდან:** სახალხო № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღით.

**ფოთიდან:** სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

**შორაპნიდან:** სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.


## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება** (კვირაობით)

**პრემიად** 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი, რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ იანვარშივე დაურიგდება.

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი** ტფილისისა ტფილისს გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

**ექვსი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული ,,გრდემლი'' მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) ,,სახალხო გაზეთი''-ს კანტორაში, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) ქ. ზ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

**წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:**

წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას საკომისიოდ მიეცემა 5%.

მდინარე ფაზისის პირათ, თეთრ ხიდთან

**გაიხსნა საზაფხულოთ**

**მიტროფანე ლალიძის და ამხ-ის**

ხელოვნური სამკურნალო და ხილეულობის წყლის

## წყლიანთ სავაჭრო

სადაც ხილეულ-მადნეულ წყალს გარდა იყიდება საუკეთესო ქარხნის ლუდი, რძე, შოკოლადი, ნაყინი და სხვა. მ—1—4.